ელექტრონული რეგისტრაცია № 00015020
თარიღი: 13/10/2024

შპს მარნეულის კოლეჯის ვერიფიკაციის ანგარიში

ანგარიში მომზადებულია ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის - იამზე ახალკაციშვილის მიერ და წარმოადგენს 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას.

ოქტომბერი 2024

მარნეული

შპს მარნეულის კოლეჯის ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი 2020 წლიდან ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესებს. პროცესის თანმიმდევრობა დაცულია ვერიფიკაციის მექანიზმზე დაყრდნობით. ყოველი ახალი სამოქმედო წლის დაწყებისას ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ხდება რისკების რეესტრიდან კონკრეტულის შერჩევა ვერიფიკაციის გეგმის შესადგენად. ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები 2023-2024 წლის მანძილზე ახორციელებდნენ ვერიფიკაციის პროცესებს. 2023 წლის 3 ნოემბრის სამუშაო შეხვედრაზე (ოქმი N75) მოხდა კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული რისკების შერჩევა და ასევე მოდულების შერჩევა ვერიფიკაციის პროცესისთვის. ვერიფიკაციის პროცესისთვის რისკების რეესტრის გათვალისწინებით, მოდულების შერჩევა მოხდა მხოლოდ ერთი გარემოების მიხედვით. ეს იყო დამწყები მასწავლებლის ფაქტორი(მათ შორის პირი რომელსაც მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილებაა აქვს მასწავლებლად მუშაობის) სულ შეირჩა 19 მოდული და 40-ზე მეტი შეფასების ინსტრუმენტი. თუმცა გარემოებებიდან გამომდინარე მოხდა ვერიფიკაციის გეგმის ცვლილება (ოქმი N78) კერძოდ: შეიცვალა ვერიფიკაციის შერჩევა და შერჩეული რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე შეირჩა თითოეული ახალი მასწავლებლის ერთი მოდული. ჯამში სულ შეირჩა 13 მოდული, მათგან 2 ქართული ენის ქართული B1 და ქართული A2. იხ ვერიფიკაციის გეგმის განაწილება 2023-2024წელი (N80 თარიღი 13/11/2023)

ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი აქტიურად ატარებდა სამუშაო შეხვედრებს პროცესიების გასაანალიზებლად/გასაუმჯობესებლად. მიმდინარე 2023-2024 სამუშაო წლის მანძილზე გაიმართა ხუთი სამუშაო შეხვედრები.

შეხვედრა გაფორმებული არის შესაბამისი ოქმით და ინახება ხარისხის მართვის სამსახურის შიდა დოკუმენტბრუნვის საქაღალდეში შეხვედრებზე განხილული და შეთანხმებული დასკვნებით.

ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი გასცემდა რეკომენედაციებს იმის და მიხედვით თუ რომელ ეტაპზე რა ტიპის ხარვეზის გამოსწორება იყო ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი და ამავე დროს, რომელი ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლებლობა ჰქონდა კოლეჯს. გარდა ამისა, სასწავლო წლის მანძილზე ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მხრიდან ინფორმაციას მოხსენებითი ბარათის სახით იღებდა დირექტორი. ვერიფიკაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ეცნობოდა ყველა ის გარემოება თუ ხარვეზი, რაზეც კონკრეტულ კვარტალში ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფმა იმუშავა და შეთანხმდა.

დასკვნა

გასული წლის ანგარიშისა და მიმდინარე წლის შეჯამების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ იგრძნობა დადებითისკენ განვითარება. ვინაიდან უშუალოდ ვერიფიკაციის პროცესების მიმდინარეობა ნაკარნახევი იყო მიდგომით, რომელიც გულისხმობდა კოლეჯის შეფასების სისტემის ეტაპობრივ გაუმჯობესებას. ვფიქრობ მიზანი ყოველ წლიურად იხვეწება და სრულყოფილ სახეს იღებს.

რეკომენდაციები

- ე.წ ქუდში აუცილებელია ინფორმაციის ზუსტი ასახვა - კონკრეტულად კი დაზუსტდეს შეფასებისთვის შესაბამისი გარემო (A, B, C)
- შეფასების ინსტრუმენტში წარმოდგენილი დავალებები უნდა იყოს შეფასების მიმართულების შესაბამისი.
- სასურველია გაიმიჯნოს ინსტრუმენტში ზეპირსიტყვიერი და წერილობით წარმოსადგენი დავალებები.
- სასურველია მოხდეს შეფასებისთვის დათმობილი დროის გადახედვა (განსაკუთრებით პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში) და საჭიროებების მიხედვით გადანაწილება.
- შეფასების ინსტრუმენტში წარმოდგენილი დავალებები შინაარსობრივად სრულად უნდა ფარავდეს მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.
- აუცილებელია სტუდენტის მტკიცებულებას ჰქონდეს საგამოცდო თარიღი მითითებული და დაუშვებელია მისი გადასწორება.
- შეფასების მტკიცებულებების ნაწილში მეტად დაკვირვებით უნდა მოხდეს სტუდენტის შეფასება. ვინაიდან გამოვლინდა შემთხვევები როდესაც დადასტურებული ნამუშევრები რეალურად არ შეესაბამებოდა შეფასების ინსტრუმენტში მოთხოვნილ დავალებას.
- შეფასების ინსტრუმენტში ყველა დავალებას უნდა ჰქონდეს მცირები ინსტრუქცია.